

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**  
**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე**  
**მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში**

(2015 წლის 10 დეკემბრიდან 2016 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით)

**საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:**

- სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემოსულია 386 განცხადება, პასუხი გაცემულია 356 განცხადებაზე, ხოლო 30 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და შესაბამისად მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ადგილი არ ჰქონია.

**მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:**

- 2012 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურედ განისაზღვრა სამინისტროს კოორდინაციის სამსახურის უფროსი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/301; 01.02.2012 წ.)

- 2013 წლის 9 სექტემბრიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სამინისტროს კოორდინაციის სამსახურის უფროსი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/247; 09.09.2013 წ.)

- მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციის სამსახურის უფროსის მიერ.

- უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა.

**საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:**

- სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებს დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

- სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:**

- სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაციით სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა არ დაფიქსირებულა. აგრეთვე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს მიმდინარე წელს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის თაობაზე, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ რეკომენდაცია არ დაუყენებია.

- სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაციით, სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა არ დაფიქსირებულა და შესაბამისად დისციპლინური სახდელები არ გამოყენებულა. აგრეთვე მიმდინარე წელს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის თაობაზე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს საჯარო მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ რეკომენდაცია არ დაუყენებია.

**იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:**

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

**საჯარო ინფორმაციის გაცემა/გაუცემლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:**

- საანგარიშო პერიოდში გასაჩივრებულია ორი წერილი.

**საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:**

- ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.